პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხამშაბათი, 20 ნოემბერი, 1951 წ. № 272 (9126). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სახალხო სასამართლოებში ასარჩევად დავასახელოთ ხალხის ღირსეული წარმომადგენლები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადაეცა ი. ბ. სტალინის მონუმენტური ქანდაკებანი (1-ლი გვერდი).
მშვიდობის საერთაშორისო პრემიის გადაცემა ნაზიმ ჰიქმეთისათვის (1-ლი გვერდი).
მეტი ყურადღება პრესის გავრცელებას—„პრავდის“ 19/XI მოწინავე (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ტრიესტის საკითხზე (მე-2 გვერდი).
ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის [illegible] 16 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიაზე (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სახალხო სასამართლოებში ასარჩევად დავასახელოთ ხალხის ღირსეული წარმომადგენლები

სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

სახალხო სასამართლოების არჩევნები წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიზმის ახალ ნათელ გამოხატულებას, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას საბჭოთა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და მართლმსაჯულების საქმის გაუმჯობესებისათვის. ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ადგილებზე ფართო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

საქართველოს მშრომელები სახალხო სასამართლოებს აირჩევენ დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციით საბჭოთა ადამიანებისათვის უზრუნველყოფილია საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრის საფუძველზე როგორც მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებში, ისე სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნებში.

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ამომრჩევლებისათვის არ არსებობს რასობრივი დაყოფა, არც ბინადრობის ცენზი და სხვა შეზღუდვები, რასაც ადგილი აქვს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგები და სხვა რასების წარმომადგენლები შეზღუდულები არიან არჩევნების დროს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ამომრჩევლებს მოეთხოვებათ მოცემულ ადგილზე ცხოვრება რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს გარემოება მშრომელთა დიდ უმრავლესობას შესაძლებლობას უსპობს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ვინაიდან ისინი სამუშაოს ძებნაში იძულებული არიან ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდნენ. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებათ იმ პირებსაც, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა გაბატონებული ეროვნების ენაზე.

დიდია საბჭოთა სახალხო სასამართლოს აღმზრდელობითი როლი, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენი ხალხი ძლევამოსილად აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. საბჭოთა სასამართლო, შეუბრალებლად სჯის რა ხალხის მტრებს, სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლებს, მუქთახორებს, მკვლელებს, ხულიგნებს, სპეკულანტებს და სხვა დამნაშავეთ, ამასთანავე ისახავს მეტად დიდ ამოცანას — ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა აღზრდას. საბჭოთა სასამართლოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ხელი შეუწყოს საბჭოთა დემოკრატიის განვითარებას და განმტკიცებას, დაიცვას სოციალისტური კანონიერება, არ დაუშვას არავითარი დარღვევა იმ უფლებებისა, რომლებიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით. ამიტომ არის, რომ სახალხო მოსამართლეს და სახალხო მსაჯულებს საბჭოთა ხალხი დიდ მოთხოვნებს უყენებს მათი მორალური სახისა და პირად ცხოვრებაში ყოფაქცევის მხრივ.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების დასახელება. ეს საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად ხალხი ასახელებს ნდობით აღჭურვილ, ავტორიტეტიან და ისეთ მოწინავე ადამიანებს, რომელთაც აქვთ ცხოვრების დიდი გამოცდილება, კარგად ესმით ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკა და შესწევთ უნარი განუხრელად განახორციელონ იგი, მტკიცედ იდგნენ საბჭოთა მართლმსაჯულების საგუშაგოზე.

ამხანაგი კალინინი ეხებოდა რა იმ თვისებებს, რაც საჭიროა მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად, ამბობდა: „აი, მე რომ შემეკითხონ, თუ როგორ პიროვნებას შეუძლია მოსამართლის ადგილი დაიკავოს, ვინ შეიძლება იყოს ჩვენს სახელმწიფოში მოსამართლედ, მე ვიტყოდი, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ცოდნა თუნდაც კომუნისტური უნივერსიტეტის ფარგლებში, ის უნდა იყოს ადამიანი..., რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება, შეუძლია გაერკვეს ადამიანებში, და ამას კიდევ უნდა დავუმატო — უნდა იყოს კულტურული ადამიანი“.

ჩვენი ამოცანაა სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად ყველგან დავასახელოთ საუკეთესო ადამიანები, მუშების, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეული კანდიდატები.

ხალხთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი, განსაზღვრავდა რა საბჭოთა ხალხის მიერ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში ასარჩევი დეპუტატების თვისებებს, მიუთითებდა:

„ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორიც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივი გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“.

ცხადია, ამ თვისებებს მოითხოვს ჩვენი ხალხი საბჭოთა სახალხო სასამართლოში თავის არჩეულთაგანაც. ამიტომ სახალხო სასამართლოებში კანდიდატების დასახელებას განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით უნდა მივუდგეთ.

საჭიროა აქედანვე ფართოდ გავაჩაღოთ ამომრჩეველთა შორის სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, ამომრჩევლებს ზედმიწევნით გავაცნოთ არჩევნების დებულების თვითეული მუხლი, მათი უფლება-მოვალეობა და მოვამზადოთ ნიადაგი არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში

ორდენები გადაეცათ სახელოვან მეჩაიეებს

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდოები გადასცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ სიგელთან ერთად გადაეცა საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს ამხ. ა. კვაჭაძეს, განყოფილების გამგეს ამხ. ვ. მიქაძეს, მეჩაიე მუშას ე. კამბურიანს და ბრიგადირს ვ. კვაჭაძეს.

ლენინის ორდენები მიიღეს მეურნეობის დირექტორმა ამხ. ე. ტულუშმა, ბრიგადირმა მ. სარჯველაძემ და მეჩაიე მუშამ ა. რიაბცევმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა 8 კაცს, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ — 7, ხოლო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“—2 კაცს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ა. კვაჭაძემ, ე. ტულუშმა, ვ. ვორონოვამ, ო. დიაჩენკომ და სხვებმა. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიას და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

დასასრულ ამხ. დ. დავითაძემ დაჯილდოებულთ მიულოცა მთავრობის მაღალი ჯილდოები და უსურვა ახალი წარმატებები მუშაობაში.

სიმინდის უხვი მოსავალი

ხობი. (საკ. კორ.). სოფელ ხობის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ თათარიშვილი) სიმინდის უხვი მოსავალი მიიღო. 195 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 26-28 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 50 ცენტნერი სიმინდი. მეორე ბრიგადაში, რომლის ხელმძღვანელია გრიგოლ ჯინჭარაია, 65 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 55 ცენტნერი. მიჩენილ თვითეულ ჰექტარზე 70-75 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს კოლმეურნეებმა ალექსანდრე არზიანმა, აკვსენტი ალანიამ, მათე სხულუხიამ, მერგოლურმა დიმიტრი ხვიჩიამ და სხვებმა.

წელს მოხდა სოფელ პირველი მაისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის გამსხვილება. ათვისებულ იქნა 83 ჰექტარი ყამირი, დაინერგა სამუშაოთა მექანიზაცია. ამ კოლმეურნეობაში 350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 40 ცენტნერი სიმინდი.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში დაწინაურდა იპოლიტე ხარებავას ბრიგადა, რომელმაც თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერზე მეტი მოსავალი. ჰექტარზე 82 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა კოლმეურნე აკვსენტი ბუკიამ. მოსავლიანობის გეგმა 300 პროცენტით შეასრულეს არსენ ბუკიამ, პეტრე ხვიჩიამ და კონდრატე ბუკიამ.

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მმართველი ამხ. ა. ლაბახუა და საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბალავაძე იუწყებიან, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის საქართველოს მეშახტეების მიერ ამხანაგ სტალინისადმი წერილში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, 15 ნოემბერს ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა.

გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გადიდდა 28,9 პროცენტით. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ძირითადი მიმართულების გვირაბთა გაყვანის გეგმა.

ტყვარჩელელმა მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადაჭარბებით ამოიღონ ათეულ ათასობით ტონა ქვანახშირი. (საქდესი).

მეკონსერვეთა გამარჯვება

გორი. (საკ. კორ.). სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და მუშაობაში სტახანოვური მეთოდების დანერგვით გორელმა მეკონსერვეებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს. მათ გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და მესამე კვარტალის გეგმა 138,6 პროცენტით შეასრულეს, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 3 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 8,5 პროცენტით და მიიღეს 417 ათასი მანეთი დაგროვება.

ამ წარმატებათა შედეგად ქარხნის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საკონსერვო ქარხნებს შორის. ქარხანას მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 75 ათასი მანეთი.

გორელი მეკონსერვეები წარმატებით მუშაობენ მეოთხე კვარტალშიც. ათი თვის გეგმა მათ 134,8 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით დაამზადეს 1.250 ათასი ქილა კონსერვი.

მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით ისახელეს თავი სტახანოველებმა ე. წერეთელმა, მ. ბარიშვილმა, ე. მახარობლიძემ, პ. ზაიცევამ, ლ. ბერიკაშვილმა და სხვებმა.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ორი მილიონი ქილა საკონსერვო ნაწარმის გამოშვებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროცესების მთლიანი ელექტროფიკაციის სქემა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა დაამუშავა ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მთელი რიგი პროცესების ელექტროფიკაციის სქემა. ეს სქემა გულისხმობს შრომატევად ცალკე პროცესთა შესრულებაში ადამიანის შრომის ნაცვლად ელექტროენერგიის გამოყენებას.

სამუშაოთა პროცესების მთლიანი ელექტროფიკაციის სქემის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა მ. მოსტკოვმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. მუსხელიშვილმა და ინჟინერმა პ. შენგელიამ.

• • •

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონში დიდი მუშაობაა გაჩაღებული სოფლების ელექტროფიკაციისათვის. უკვე ელექტროფიცირებულია სოფლების ხიზაბავრისა და საროს კოლმეურნეობები და ადგილობრივ გამომუშავებულ იაფ ელექტროენერგიას იყენებენ სხვადასხვა სამუშაო პროცესთა შესრულებაში. წელს ამ სოფლებში პირველად მოაწყვეს პურის ელექტროლეწვა.

სოფლებში — დამალაში, ხერთვისსა და ტოლოშში მოსახლეობა შეუდგა მცირეძალიანი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. ახალი ელექტროსადგურები უმოკლეს ვადაში ამუშავდებიან.

ახალი მშენებლობანი რაიონებში

ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ სოფელ ენისელში ააგო კირის მექანიკური ქარხანა, რომელიც დღეღამეში 8 ტონა კირს გამოსწვავს. ქარხანამ უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია.

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ დიდ ჭყონში ახლახან გაიხსნა ახალი, ათსაწოლიანი საავადმყოფო, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო მუშაკებით.

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ აგარა-უყეშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო საქონლის დიდი და კეთილმოწყობილი სადგომი. იქვე აგებულია საქონლის საკვების შესანახი საბძელი.

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დღითიდღე ფართოვდება ახალი მშენებლობანი. ქ. გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ წელს ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა 500 ტონა მარცვლეულის ტევადობის საველე საწყობი, ელექტროწისქვილი, მეფრინველეობის ფერმის შენობა და 4.000 დეკალიტრი ღვინის ტევადობის მარანი.

მეფრინველეობის ფერმისათვის ახალი კაპიტალური შენობა ააგო სოფელ ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ.

სოფელ კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადასცემს პირუტყვის საზამთრო ბინას 50 სული ძროხისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადაეცა ი. ბ. სტალინის მონუმენტური ქანდაკებანი

ბერლინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). გაითვალისწინა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების სურვილი — დაიდგას გერმანიაში ი. ბ. სტალინის მონუმენტები გერმანელ და საბჭოთა ხალხების მეგობრობის ნიშნად, საბჭოთა მთავრობამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ძღვნად გადასცა ი. ბ. სტალინის ორი მონუმენტური ქანდაკება.

დღეს სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურმა ბერლინში ელჩმა გ. მ. პუშკინმა ეს ქანდაკებანი გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლს. მიიღო რა ი. ბ. სტალინის მონუმენტები, ოტო გროტევოლმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი გერმანელი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა მონუმენტებისათვის სსრ კავშირის მთავრობას და რწმენა გამოთქვა, რომ ეს ძღვენი ხელს შეუწყობს გერმანელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

მშვიდობის საერთაშორისო პრემიის გადაცემა ნაზიმ ჰიქმეთისათვის

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პრაღაში მშვიდობის საერთაშორისო პრემია გადაეცა ცნობილ თურქ პოეტს ნაზიმ ჰიქმეთს. კაროლინუმის (კარლოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი შენობა) დიდ დარბაზში შეიკრიბნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალი წარმომადგენელი, მწერლები, მხატვრები, მსახიობები, კომპოზიტორები, წარმოების მოწინავენი. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჟან ლაფიტმა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანმა ჩინელმა პოეტმა ემი სიაომ დამსწრეთ გააცნო ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრება და შემოქმედება. შემდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრმა კარლოვის უნივერსიტეტის რექტორმა იან მუკაჟოვსკიმ დამსწრეთა ტაშის გრიალში ნაზიმ ჰიქმეთს გადასცა მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის დიპლომი.

პიონერებმა, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის წევრებმა, პრაღის საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების წარმომადგენლებმა ნაზიმ ჰიქმეთს მიართვეს ყვავილების თაიგულები ნიშნად ჩეხოსლოვაკიის ხალხის დიდი პატივისცემისა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ მებრძოლი პოეტისადმი.

მიმართა რა დამსწრეთ, ნაზიმ ჰიქმეთმა თქვა:

მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის დიპლომს მე ვიღებ მშვიდობის ყველა მომხრის სახელით, ჩემი სამშობლოს მთელი მშრომელი ხალხის სახელით, რომელიც მშვიდობისა და თავისუფლებისათვის იბრძვის. ჩვენ მშვიდობისა და სიცოცხლის დამცველნი, გავიმარჯვებთ. გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენთან არიან საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, იმიტომ, რომ ჩვენთან არის მსოფლიოს ყველა მშრომელი, ყველა პატიოსანი ადამიანი.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 ნოემბრისათვის შეასრულეს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

თესვა გრძელდება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში

ეროვნული რუსული ენის განვითარების ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მუშაობა ა. ს. პუშკინის ენის ლექსიკონის შესადგენად.

17 ნოემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში რუსული ენის სექციის სხდომაზე მოსმენილ იქნა აკადემიკოს ვ. ვ. ვინოგრადოვის ცნობა იმის შესახებ, რომ დამთავრდა პოეტის ენის ლექსიკონის პირველი ტომის შედგენა.

ამჟამად, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ეროვნული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელთა ლექსიკონების გამოცემას. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდეთ სალიტერატურო ენების განვითარების პროცესს და წარსულის დიდი მწერლების მსოფლმხედველობას.

ა. ს. პუშკინის ენის ლექსიკონში, რომელიც ნავარაუდევია სამ ტომად, ფართოდ არის გამოხატული XIX საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლის რუსული ენის ლექსიკური შედგენილობა. ლექსიკონის პირველი ტომი 6.290 სიტყვას შეიცავს.

ა. ს. პუშკინის ენის ლექსიკონის პირველი ტომის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო სპეციალისტებმა. (საკდესი).

სოციალისტური შრომის გმირები

მ. ტ. ვახნოვა

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.871 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

პ. ი. სოტნიკი

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.020 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ე. ს. პლახოტნიკოვა

ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.481 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

პ. ქ. თავაძე

მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 9,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7.083 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

მეტი ყურადღება პრესის გავრცელებას

საბჭოთა პრესა დიდ და საპატიო ამოცანებს ასრულებს. მან მასებში შეაქვს ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე იდეები, იგი პროპაგანდას უწევს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია, რაზმავს მშრომელთა ძალებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენი პრესა განუწყვეტლივ იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიადი საქმისათვის.

პუნქტში, განსაკუთრებით შორეულ პუნქტებში, სრულიად არ წარმოებს ხელმოწერა პერიოდულ პრესაზე. ულიანოვსკის ოლქში ადგილობრივ გამოცემათა გავრცელებას არსებითად არ შესდგომიან. აქ ხელმოწერის პუნქტები შექმნილია მხოლოდ 65 კოლმეურნეობაში. პრესის საზოგადოებრივი გამავრცელებლები გამოყოფილი არ არიან. ასეთივე მდგომარეობაა ჩუვაშეთში, ივანოვის, ვლადიმირის, სმოლენსკის ოლქებში...

სურათზე: თელეთის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტები (მარცხნიდან) ი. ჯამალაშვილი და ხ. არუთინაშვილი მუშაობენ ტრაქტორის შეკეთებაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ტრიესტის საკითხზე

ამა წლის 17 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ დიდი ბრიტანეთის ელჩს ბ-ნ გასკოინს, საფრანგეთის ელჩს ბ-ნ შატენიოს და ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულს ბ-ნ კამინგს გადასცა ნოტები...

სად გამოყვანილი უნდა ყოფილიყვნენ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიიდან ჯერ კიდევ 1948 წლის იანვარში, დღემდე უკანონოდ იმყოფებიან ამ ტერიტორიაზე.

რამდენადაც საზავო ხელშეკრულებით ტრიესტის თავისუფალი ტერიტო-...

...რეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ყურადღება იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ეკისრებათ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შესახებ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების დადგენილებათა შესრულებლობისათვის. მაგრამ ფაქტები...

...ნიშნული არ არის; დროებითი სამართველო საბჭო შექმნილი არ არის; ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებითი რეჟიმის დებულება, აგრეთვე მუდმივი სტატუტი, რომლებიც გათვალისწინებულია საზავო ხელშეკრულებით, არ მოქმედებენ; უცხოეთის ჯარები, რომლებიც საზავო ხელშეკრულების შესაბამი-...

...დაქვემდებარებულია არამარტო სამხედრო წრეებთან და საოკუპაციო ჯარების მომსახურებასთან, მაშინ როცა თავისუფალი ტერიტორიის ეკონომიკა მთლიანად დაცემულია.

საბჭოთა მთავრობამ თავისი 1950 წლის 20 აპრილისა და 8 ივლისის ნოტებით უკვე მიაქცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, აგ-...

...შესრულების საქმეში".

ანალოგიური ნოტები ამავე დროს გადაეცათ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩებს.

ბ-ნებმა გასკოინმა, შატენიომ და კამინგმა განაცხადეს, რომ ისინი აღნიშნულ ნოტებს აცნობებენ თავიანთ მთავრობებს.

არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

საბჭოთა ხალხი პატივს სცემს თავის მამაც შვილებს—სტალინურ არტილერისტებს. ძლიერმა საბჭოთა არტილერიამ ფაშისტთა შემოსევის წლებში გაზარდა დიდება საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც ფხიზლად დგანან სოციალისტური სახელმწიფოს სადარაჯოზე.

17 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის სამხედრო სამინისტროს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და მრეწველობის მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი არტილერიის დღისადმი.

საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ გენერლები და ადმირალები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრები, მოსკოვის საწარმოთა სტა-...

...ლებს, იცავდნენ მათ ინტერესებსა და უფლებებს, დროზე აწვდიდნენ ხელმომწერლებს ჟურნალ-გაზეთებს. საპატიო და უაღრესად პასუხსაგები საქმე აქვთ დაკისრებული „სოიუზპეჩატის" მუშაკებს, ფოსტალიონებს, კავშირგაბმულობის მუშაკთა მთელ უდიდეს არმიას — გაავრცელონ მასებში ჩვენი პრესა.

პრესის გავრცელება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, კავშირგაბმულობის ყველა მუშაკის მოვალეობაა სანიმუშოდ მოაწყონ პრესის გავრცელება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყველა ფენაში. გავავრცელოთ მასებში გაზეთები და ჟურნა-...

...სახეს უზრუნველყოფს გაზეთით თითოეულ კოლმეურნის ოჯახს. ამის შედეგად შექმნილია მრავალი ათასი ახალი ხელმომწერი ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე.

პრესის გავრცელება „სოიუზპეჩატის" ორგანოებისაგან მოითხოვს ხელმძღვანელობის ცოცხალ მეთოდებს, ინიციატივიან მუშაობას. სამწუხაროდ, „სოიუზპეჩატის" ზოგიერთი ორგანო კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდებით მუშაობს. მაგალითად, კემეროვოს ოლქის მეტ წილ ქარხნებში, შახტებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში შექმნილი არ არის ხელმოწერის პუნქტები. მოსახლეობამ არ იცის, სად შეიძლება ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.

...მოწყობილი ადგილობრივი პრესის გავრცელების საქმე. აქ ბევრ დასახლებულ...

„პრავდის" 19-XI მოწინავე

არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

17 ნოემბერს თბილისის ოფიცრის სახლში გაიმართა თბილისის გარნიზონის სამხედრო მოსამსახურეთა საზეიმო კრება ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი არტილერიის დღისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდასთან იყვნენ ამხანაგები გ. ზამბახიძე, ე. ჩერქეზია, გ. ჯიბლაძე, ი. მიასაია, ვ. კონკოვი და სხვები.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

ყურადღებით იქნა მოსმენილი მოხსენება სტალინური არტილერიის დღის შესახებ...

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ქუთაისი. (საკ. კორ.). შედგა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა...

...დირექტორმა დ. ანთაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა გ. სამხარაძემ და სხვებმა.

გარდამავალი წითელი დროშა მოწინავე სასოფლო საბჭოს

ამბროლაური. (საკ. კორ.). სასოფლო საბჭოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა მუხლის სასოფლო საბჭომ...

მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის გამოცემა პოლონეთში

ვარშავა, 17 ნოემბერი. (ტასსი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, მიმდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში პოლონეთში გამოიცა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის პოლონურ ენაზე თარგმნილი 98 წიგნი. ყველაზე დიდი ტირაჟით გამოშვებულ იქნა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომები. დღემდე გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 11 ტომი 2.250 ათასი ცალი საერთო ტირაჟით და ი. ბ. სტალინის თხზულებათა 10 ტომი 2.500 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი გამოვიდა სამ გამოცემად 1.350 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1951 წლის 16 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე

ეს შენიშვნები, ეს მრავალი სხვა შენიშვნა, რომლებიც გაფანტულია ბ-ნ ტრუმენის, აჩესონის, იდენის სიტყვებში და, ბოლოს, სამი სახელმწიფოს დეკლარაციაში, შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ როგორც ცდა—არ იქნას მიღებული პრაქტიკული ღონისძიებანი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისათვის. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ბ-ნების ტრუმენის, აჩესონისა და იდენის მიერ კორეის ომის საკითხის დაყენებაში. კორეაში ომის შეწყვეტას ისინი აფასებენ როგორც სავალდებულო წინაპირობას, ურომლისოდაც შეუძლებელია შეიარაღების შემცირება. ისინი ყველანი აშკარად აცხადებენ, რომ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების არავითარი საერთო პროგრამა არ შეიძლება ამოქმედებულ იქნას, სანამ კორეაში ომი გრძელდება.

მაგრამ ასეთი მოთხოვნა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისთვის უნდა წაეყენებინათ. ასეთი პირობის წამოყენებით ამერიკის შეერთებული...

[...]

...ლეობის ქლეტის საქმეში მისი სხვა მომხრეები ყოვლად წარმოუდგენელი ხრიკებით, როგორც ეს დღევანდელი პრესიდანაც ჩანს, მოლაპარაკების წარმოებას დროებითი ზავის შესახებ? რატომ?

ალბათ, იმიტომ, რომ ეს ესაჭიროებათ, რათა გაჭიანურდეს კორეაში ომის შეწყვეტა. ხოლო კორეაში ომის შეწყვეტა უნდა გაჭიანურდეს იმისათვის, რომ არ მოხდეს შეიარაღების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 271.

[...]

...ნწყვეტის ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტი. მე საქმის ამ მხარეზე ბევრს არ ვილაპარაკებ, მზად ვარ დაწვრილებითი დისკუსია გადავდო პირველ კომიტეტამდე. მაგრამ ახლა ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენ ომის დამთავრების დღიდან მოვახდინეთ სამხედრო სამსახურის ოცდაცამეტი ვადის დემობილიზაცია. ვგონებ, ბ-ნი რომულო გენერალია; მან უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს სამხედრო სამსახურის ოცდა-...

...დება განსაზღვრავს პოლიტიკურ ატმოსფეროს მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა მთავრობის წრეებში, მაშინ გენერალურ ასამბლეას ნამდვილად გაეხსნება გზა სერიოზულ და პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მისაღებად. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი გენერალურ ასამბლეას შესაძლებლობას აძლევენ გაბედულად და მტკიცედ დაადგეს ამ გზას. **(ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).**

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიაზე

16 ნოემბრის დილის სხდომა

ბერლინი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიაზე გრძელდებოდა კამათი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის საანგარიშო მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ ჩილის მოსამსახურეთა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენელი ალეგ-...

[...]

...განათლების მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი დელანიუ (საფრანგეთი), იაპონიის მშრომელთა პროფკავშირების წარმომადგენელი, ირანის მშრომელთა სახელით —რეზა რუსტა, გმირი კორეის მშრომელთა პროფკავშირების წარმომადგენელი ხენ ხუნი.

დი ვიტორიოს წინადადებით სხდომის მონაწილეებმა მიიღეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა 100 ათასი ფრანგი მაღაროელის სახელზე...

16 ნოემბრის დღის სხდომა

[...]

...მთავრობასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს გაუგზავნონ საპროტესტო დეპეშა.

პროფკავშირთა 80 მილიონი წევრის სახელით გენერალური საბჭოს სესია, ნათქვამია დეპეშაში, გმობს ამ ახალ დანაშაულს და მოითხოვს, რომ ათენის მთავრობამ დაუყოვნებლივ გააუქმოს სამარცხვინო განაჩენი.

სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ლუი საიანმა. მან აღნიშნა, რომ პროფ-...

...თა მსოფლიო ფედერაცია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ახლაც ერთიანი, დარაზმული, ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციაა.

დასასრულ საიანმა მოუწოდა — უფრო მტკიცედ დაირაზმონ მშვიდობისა და მშრომელთა უფლებებისათვის ბრძოლაში.

ამით დამთავრდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიის დღის სხდომა.

ბენუა ფრაშონის მოხსენება

ბერლინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიის დილის სხდომაზე ვრცელი მოხსენება „მშრომელთა ერთიანობა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში და ომისათვის მზადების ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური შედეგების წინააღმდეგ ბრძოლაში" გააკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ბენუა ფრაშონმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ძირითად ამოცანებზე...

...ბისათვის, აგრეთვე გაფიცვები იმ ქვეყნებში, სადაც პროფკავშირებს ხელმძღვანელობენ გამთიშველები, როგორც, მაგალითად, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიაში.

შემდეგ ბენუა ფრაშონმა თქვა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია დიდი სიმპათიით ადევნებს თვალყურს ბრძოლას, რომელსაც დასავლეთ გერმანიის მშრომელები ეწევიან რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და თავისი ხელფასის გადიდებისათვის.

[...]

...ფრონტზე დაგმო გამთიშველთა ხრიკები, რომლებიც მიმართულია მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ, და აღნიშნა, რომ ამ მოქმედებამ, აგრეთვე გაბატონებული კლასების ტერორმა კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც ვერ ჩაახშო მშრომელთა ბრძოლა ომის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამას მოწმობს იტალიისა და საფრანგეთის მუშათა ბრძოლა თავიანთი სასიცოცხლო ინტერესე-...

...რალური საბჭოს სესიის დილის სხდომა დამთავრდა მებრძოლი ვიეტნამის პროფკავშირთა წარმომადგენლის გამოსვლით. ვიეტნამის პროფკავშირთა დელეგატმა სესიას აცნობა, რომ ვიეტნამის პროფკავშირთა 300 ათასზე მეტი წევრი თავისი ქვეყნის ყველა მშრომელს უძღვება ზურგში დაუღალავი შრომისა და ფრონტზე ფრანგი იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მაგალითს.

საფრანგეთის ეროვნული კრების კომუნისტური ჯგუფის წინადადებანი

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ...

[...]

2. ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, სსრ კავშირს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთს შორის მშვიდობის პაქტის დადება, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს ყველა სახელმწიფო და რომელიც...

...ტროლსდაქვემდებარებული შემცირება, ატომური იარაღის აბსოლუტური აკრძალვა, ომის პროპაგანდის კანონით დაგმობა და დევნა;

4. ვიეტნამში ომის შეწყვეტა, საექსპედიციო კორპუსის რეპატრიაცია და სავაჭრო და კულტურულ შეთანხმებათა დადება საფრანგეთისა და ვიეტნამის ინტერესებისათვის;

5. ...

...რომის ქვეყნებისა და აზიის ქვეყნების ჩათვლით".

კომუნისტური ჯგუფი ეროვნულ კრებას მიმართავს წინადადებით უარი თქვას სამხედრო კრედიტების ყოველგვარ გადიდებაზე, უარყოს ყველა წინადადება ახალ გადასახადთა და გამოსაღებთა დაწესების შესახებ და განახორციელოს მთელი რიგი სხვა ეკონომიური და სოცია-...

სამშვიდობო წარმოების შემცირება ამერიკის შეერთებულ შტატებში

პრაღა, 14 ნოემბერი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გამალებული შეიარაღება და ეკონომიკის მილიტარიზაცია შეერთებულ შტატებში იწვევს კრიზისს გამწვავებას მრეწველობაში, რომელიც სამომხმარებლო საქონელს ამზადებს. ჟურნალი „ფორჩუნი" ოქტომბრის ნომერში წერდა:

„თავდაცვისათვის განკუთვნილი წარმოება ფართოვდება, ხოლო სამომხმარებლო საქონლის წარმოება მცირდება. შემცირება იგრძნობა არა...

...რი სასმელების, ქვანახშირისა და სხვ. წარმოებაში".

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ კრიზისია ამერიკის ვისკოზის მრეწველობაში. „ვისკოზის წარმოება,—აღნიშნავს გაზეთი,—უკანასკნელ სამ თვეში დაახლოებით 50 პროცენტით შემცირდა. ბევრ ფაბრიკა კვირაში მუშაობს მხოლოდ 3-4 დღეს, ხოლო ზოგიერთი უფრო პატარა საწარმო საერთოდ დახურა. უკანასკნელ ორ კვირაში სამმა ფაბრიკამ გამოაცხადა მუშაობის შეწყვეტა, ხოლო ერთი ფაბრიკა აპირებს წარმოების მოცულობის შემცირებას. სართავი ფაბრიკები, რომლებიც ნედლეულს ამზადებენ...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესია

15 ნოემბრის დილის პლენარული სხდომა

პარიზი, 15 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ა. მ. ბარანოვსკი, თავისი სიტყვის დასაწყისში მან დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა სერიოზულ ცვლილებებს, რომლებიც საერთაშორისო მდგომარეობაში მოხდა გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის დროიდან და რომლებმაც მნიშვნელოვნად გაართულა სახელმწიფოთა ურთიერთობა.

„საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა, რაც განსაკუთრებით უკანასკნელ დროს გაძლიერდა,—თქვა ბარანოვსკიმ, — მსოფლიოს ხალხთა შეშფოთებას და ახალი მსოფლიო ომის დაწყების შიშს იწვევს. სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი მტრულმა პოლიტიკამ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, ისეთი მასშტაბი მიიღო, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. ეს პოლიტიკა, რაც ნაკარნახევია ამერიკელი მილიარდერებისა და მილიონერების ანგარებითი ინტერესებით, რომლებიც უგუნურად ისწრაფვიან მსოფლიო ბატონობისაკენ, წამლავს საერთაშორისო ატმოსფეროს.

აბამენ რა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სისტემაში ახალ ქვეყნებს, ქმნიან რა ახალ აგრესიულ კავშირებს ხმელთაშუა ზღვის რაიონში და წყნარი ოკეანის აუზში და აღორძინებენ რა ომის კერებს გერმანიასა და იაპონიაში, ამერიკის შეერთებული შტატები აღარ მალავენ, რომ ეს სამხედრო მზადება მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ბარანოვსკიმ მოიყვანა მთელი რიგი ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ გამალებულ შეიარაღებას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში მათი თანამონაწილეები ახორციელებენ. მან ცხადყო, რომ ყალბია საბუთები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მმართველი წრეებისა, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს გამალებული შეიარაღება იმით არის გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები საფრთხეს უქმნიდნენ დასავლეთ სამყაროს, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნები ამ ყალბ საბუთებს იყენებენ გამალებული შეიარაღების მისაჩქმალავად.

აღნიშნა რა, რომ ამ საბუთებს ახლანდელ სესიაზე მიმართეს ბ-ნმა აჩესონმა და იდენმა, როცა შეიარაღების გადიდებისაკენ მოწოდებას ამართლებდნენ, ბარანოვსკიმ მოიყვანა ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ სსრ კავშირს ჰყავს შეიარაღებული ძალების მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი, რაც საჭიროა მისი ტერიტორიის დასაცავად.

უკრაინის დელეგატმა მოიყვანა ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა სახეირო მოგებას იღებენ ომით ამერიკელი მონოპოლისტები, რომლებიც ამის გამო დაინტერესებულნი არიან, რომ საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა კი არ შენელდეს, არამედ გაძლიერდეს.

— როგორი პოზიცია უკავია ახლანდელ პირობებში, როცა საერთაშორისო მდგომარეობა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის ზეგავლენით გართულდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა, როგორც მშვიდობის იარაღი საერთაშორისო დავის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის?

უპასუხა რა ამ კითხვაზე, ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ გასული წელი აღინიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შემდგომი უარყოფით და წესდების მრავალი დარღვევით. მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აგრესიულმა ბირთვმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ამ ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შეუგუა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზნებს.

ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების აგრესიული პოლიტიკა, რასაც ეწევიან ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც მნიშვნელობა დაუკარგეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას როგორც მშვიდობის იარაღს და რომლებიც შეუპოვრად ცდილობენ ომის იარაღად გადააქციონ იგი, განაგრძო ბარანოვსკიმ, სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას აწყდება ხალხთა ფართო მასების მხრივ, რომლებიც უარს ამბობენ იმაზე, რომ ახლანდელი საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბვის მიზეზად სსრ კავშირი აღიარონ.

უკრაინის დელეგატმა აღნიშნა, რომ არ ენდობიან რა თავიანთ პოლიტიკოსებს, უბრალო ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში უარს ამბობენ იმაზე, რომ გარდუვალად ცნონ ახალი ომი და მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის წინაშე ომის თავიდან აშორების ერთადერთ საშუალებად მიაჩნიათ ის, რაზეც მათ ი. ბ. სტალინმა მიუთითა — მშვიდობის საქმე თავიანთ ხელში აიღონ.

ბარანოვსკიმ გააკრიტიკა ეგრეთწოდებული შეიარაღების რეგულირების, შეზღუდვისა და შემცირების გეგმა, რომელიც გენერალურ ასამბლეას წარუდგინა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ერთობლივი დეკლარაციით და რომელსაც ფართო რეკლამა გაუკეთეს თავიანთ სიტყვებში ამერიკის პრეზიდენტმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, როგორც „ახალ წინადადებას" და როგორც „ახალ პროგრამას". გაიხსენა რა, რომ ამაში უნდოდა დაერწმუნებინა ასამბლეა ბ-ნ იდენსაც, უკრაინის დელეგატმა ცხადყო, რომ ამ გეგმას საქმით სრულიადაც არა აქვს მხედველობაში, ყოველ შემთხვევაში ამჟამად, შეიარაღების შემცირება. ეს ამოცანა იცვლება ისეთი ღონისძიებით, როგორიცაა შეიარაღების თანდათანობით აღრიცხვა და აღწერა.

აღნიშნა რა, რომ სამი სახელმწიფოს წინადადება სრულიადაც არ მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას და დუმილით უვლის გვერდს აგრეთვე ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს, ბარანოვსკიმ განაცხადა:

— ამრიგად, სამთა დეკლარაციის გაცნობის შემდეგ იქ უთუოდ გარკვეულად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ რომელიღაც სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა საიდუმლო ინფორმაცია შეაგროვონ თითეული ქვეყნის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ.

ბარანოვსკიმ აგრეთვე აღნიშნა ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეიარაღების შემცირების წინასწარ პირობად აყენებენ საერთაშორისო ურთიერთობაში ახლანდელი დაძაბულობის მიზეზების აღმოფხვრას და, უწინარეს ყოვლისა, კორეაში ცეცხლის შეწყვეტას.

ომი კორეაში, თქვა ბარანოვსკიმ, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. მაგრამ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც გააჩაღეს და დაახლოებით წელიწადნახევარს ეწევიან ამ დამპყრობლურ ომს, ყოველივეს აკეთებენ იმისათვის, რომ გააჭიანურონ ეს სამხედრო ავანტიურა.

რაც შეეხება შეიარაღების შემცირების მეორე პირობას — საერთაშორისო ურთიერთობაში ახლანდელი დაძაბულობის მიზეზების აღმოფხვრას, თქვა ბარანოვსკიმ, იგი იმეორებს ჯერ კიდევ 1947 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ მოთხოვნას „საერთაშორისო ნდობის", როგორც შეიარაღების შემცირების წინასწარი პირობის, შესახებ. როგორც ხედავთ, არც ეს დებულებაა ახალი. ეს პირობა, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, თავდაყირა აყენებს შეიარაღების შემცირების მთელ პრობლემას.

აღნიშნა რა, რომ სამთა დეკლარაცია ისეთი დოკუმენტია, რომელიც სრულიადაც არ არის ნავარაუდევი შეიარაღების შემცირების პრობლემის სერიოზულად განხილვისათვის და არავითარ კონკრეტულ ღონისძიებას არ გვთავაზობს, ბარანოვსკიმ განაცხადა:

„უკრაინის სსრ დელეგაციას მიაჩნია, რომ ახლანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს განსაკუთრებით ეფექტიანი და სასწრაფო ღონისძიებანი ომის მზადების წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ახორციელებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალი ქვეყნები.

საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის განსახილველად შემოიტანა წინადადებანი „ახალი ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

უკრაინის სსრ დელეგაცია, უსიტყვოდ უჭერს რა მხარს ამ წინადადებებს და სავსებით ეთანხმება რა მათ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს წინადადებანი, სამი სახელმწიფოს დეკლარაციისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების კონკრეტულ და ეფექტიან ღონისძიებათა პროგრამას.

დასასრულ ბარანოვსკიმ უკრაინის სსრ დელეგაციის სახელით მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ჯანსაღ ელემენტს დაირაზმონ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ბრძოლაში ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის დაცვა და ომის იარაღად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაქცევისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

შემდეგ გამოსულმა ვენესუელის დელეგატმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინადადებებს ეგრეთწოდებული შეიარაღების შემცირებისა და გერმანიაში არჩევნების მოწყობის პირობების გამოსაკვლევად საერთაშორისო კომისიის შექმნის საკითხზე.

შემდეგ გამოვიდა თურქეთის დელეგატი. თავის სიტყვაში იგი ცდილობდა გაემართლებინა თურქეთის მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია გადააქციოს თურქეთის ტერიტორია ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო ბაზად საბჭოთა კავშირის საზღვრებთან. როგორც ცნობილია, ამას წინათ თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ აპირებს მიიღოს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს მიწვევა—შევიდეს ამ აგრესიული კავშირის წევრად. თურქეთის დელეგატი ცდილობდა თურქეთის მთავრობის ეს ნაბიჯი გაემართლებინა იმაზე მითითებით, რომ იგი ნაკარნახევია თითქოს თავდაცვის მოსაზრებით, თუმცა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს საერთო არა აქვს რა თავდაცვის მიზნებთან, არამედ, პირიქით, აშკარად აგრესიულ მიზნებს ისახავს.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბინძური ცილისმწამებლური სიტყვა წარმოთქვა ტიტოს ხროვის ერთ-ერთმა მეთაურმა კარდელმა.

სხდომის ბოლოს მოკლე უშინაარსო სიტყვები წარმოთქვეს დომინგოს რესპუბლიკისა და ლიბანის დელეგატებმა.

15 ნოემბრის დღის პლენარული სხდომა

პარიზი, 15 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). ასამბლეის დღევანდელ დღის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია.

არგენტინის, ისრაელისა და ნიკარაგუას დელეგატები, რომლებიც სესიაზე გამოვიდნენ, ლაპარაკობდნენ მშვიდობისა და უშიშროების შესახებ, მაგრამ ამასთან ერთად განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სამი სახელმწიფოს დეკლარაციაში მოყვანილ წინადადებებს, რითაც ცხადყვეს მშვიდობის შესახებ თავიანთი ლაყბობის ფარისევლობა. ცნობილია, რომ სამი სახელმწიფოს წინადადებანი მიზნად არ ისახავენ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას.

შემდეგ სიტყვა აიღო ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა.

ილაპარაკა რა იმ მუშაობის შედეგებზე, რომელსაც ეწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მისი არსებობის ექვსი წლის განმავლობაში, კისელიოვმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ვერ გაამართლა იმედები და ფიქრები მთელი მსოფლიოს ხალხებისა, რომლებიც მოითხოვენ ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას, ვაჭრობის განვითარებას, ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის ხელშეწყობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ ხორციელდებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკა ხალხთა დამოუკიდებლობისა და სუვერენული თანამშრომლობის პატივისცემის საფუძველზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი საქმიანობა, თქვა კისელიოვმა, რომელშიც ინგლის-ამერიკის ბლოკი ხელმძღვანელი ბირთვია, წარსული პერიოდის განმავლობაში მოწმობს იმას, რომ ეს ბლოკი დაჟინებით ცდილობს შეარყიოს სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპი.

შემდეგ ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგატი შეეხო აჩესონის მიმდინარე წლის 8 ნოემბრის გამოსვლას და აღნიშნა, რომ, შეჰქონდა რა თავისი წინადადებანი, რომელთა მიზანი თითქოს მშვიდობის განმტკიცებაა, აჩესონი ყოველნაირად ცდილობდა წარემართა სესია ყალბი გზით, ჩამოეშორებინა მისი ყურადღება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ნამდვილი შემცირებისათვის, აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვისათვის.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაციამ, თქვა კისელიოვმა, ყურადღებით შეისწავლა ეს წინადადებანი, აგრეთვე ის განმარტებანი, რომლებიც აჩესონმა მოიყვანა თავის სიტყვაში. ამ წინადადებებში გათვალისწინებული არ არის შეიარაღების არსებითი შემცირება, ისევე როგორც გათვალისწინებული არ არის ატომური იარაღის აკრძალვა. სამი სახელმწიფოს წინადადებებში „მთელი შეიარაღებული ძალისა და შეიარაღების მოწესრიგების, შეზღუდვისა და დაბალანსებული შემცირების შესახებ" მთავარ საქმედ გამოცხადებულია „საჯაროობისა და შემოწმების" დაწესება, რაც უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულ ეტაპებად, რათა გამოვლინებულ იქნას ცნობები შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესახებ, ატომური იარაღის ჩათვლით. ამრიგად, საკითხს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირების შესახებ ცვლის საკითხი ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების აღწერის შესახებ, ხოლო ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს საერთოდ გვერდი აქვს აველილი.

ილაპარაკა რა იმის შესახებ, რომ ექვსი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია კენჭისყრის თავისი მანქანის დახმარებით სისტემატურად ფუშავდა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მსოფლიოს მოსახლეობის დიდი უმეტესობის კანონიერი მოთხოვნის განხორციელებას, კისელიოვმა განაცხადა, რომ თავიანთი „ახალი" წინადადებებით „სტადიების" შესახებ სამი სახელმწიფო ცდილობს შეაფერხოს კონკრეტული მუშაობა ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის შესრულებისადმი კონტროლის დაწესების პრაქტიკულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ შემუშავების დარგში.

კისელიოვმა აღნიშნა, რომ ხუთ წარსულ ასამბლეაზე, უშიშროების საბჭოს სხდომებზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში საბჭოთა კავშირის დელეგაციამ არაერთხელ შეიტანა მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული კონკრეტული წინადადებანი, მაგრამ მათ სისტემატურად უარყოფდა ინგლისელ-ამერიკელთა „უმრავლესობა" გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დღეს აჩესონსა და მის მეგობრებს, თქვა კისელიოვმა, თავი მოაქვთ მშვიდობისმყოფლებად. ეს ვაჟბატონები ცოტა სიტყვას როდი ხარჯავენ მშვიდობის შესახებ. მაგრამ ამავე დროს ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის, ქმნიან სხვის ტერიტორიებზე სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზებს, ცდილობენ დააშინონ მშვიდობისმოყვარე ხალხები.

მათ არა სურთ შეამცირონ შეიარაღება, თქვა კისელიოვმა, მათ საშინლად ეშინიათ ამ საკითხზე შეთანხმებისა, რადგან შეიარაღების შემცირებას შეუძლია ჩაშალოს მათი აგრესიული გეგმები, ზედმეტი გახადოს გამალებული შეიარაღება, რომელიც მონოპოლისტებს მილიარდობით ზემოგებას აძლევს.

შეეხო რა ზოგიერთი იმ ორატორის სიტყვებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას იმ საფუძველზე, რომ, როგორც ისინი აცხადებდნენ, „წესდებაში ჩვენ გვაქვს მშვიდობის პაქტი 60 სახელმწიფოს შორისო", კისელიოვმა თქვა:

— მაგრამ კარგად ცნობილია, რომ მთავარი პასუხისმგებლობა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის ეკისრება უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ ხუთ სახელმწიფოს, რომელთაც ყველაზე მეტი ავტორიტეტი, ხვედრითი წონა და გავლენა აქვთ ყველა საერთაშორისო საქმის გადაჭრაში. ყველამ იცის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, სსრ კავშირს, ინგლისს, საფრანგეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მშვიდობის პაქტი თავიდან აგვაცილებდა ომის საფრთხეს, იხსნიდა მსოფლიოს გაბერილი სამხედრო ბიუჯეტებისა და გამალებული შეიარაღების ტვირთისაგან.

ჩვენ არ შეგვიძლია, თქვა კისელიოვმა, ყური არ დავუგდოთ მილიონობით ადამიანის ხმას, რომლებიც მშვიდობის დაცვას მოითხოვენ. ხალხები მტკიცედ მოითხოვენ მშვიდობის პაქტის დადებას იმ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის, რომლებიც მთავარი პასუხისმგებელი არიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მოთხოვნები კანონიერია, რომ ისინი გამოხატავენ ხალხთა მგზნებარე სურვილს—დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ბელორუს ხალხს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის მთელი საშინელება განიცადა, განაგრძო კისელიოვმა, სურს მშვიდობა, და ამიტომ ბელორუსიის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ ხელი მოაწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. ბელორუსი ხალხი ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, მთავრობისა, რომელიც დაუღალავად იბრძვის მშვიდობისათვის და იცავს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაცია მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც წარადგინა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ამა წლის 8 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე, აცხადებს დასასრულ კისელიოვი, და მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის დელეგატებს მიიღონ ეს წინადადებანი. ამით ჩვენ მოვიხდით ჩვენს ვალს მთელ მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების მიღწევისა და დაცვის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთგული ქვეშევრდომი სატელიტის როლში გამოვიდა კოსტა-რიკის დელეგატი, რომელმაც თანხმობა განაცხადა ყოველივე იმაზე, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მოითხოვდა.

ინდონეზიის დელეგატმა თავის სიტყვაში მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მსოფლიო გაიყო ორ ბანაკად, და აღნიშნა, რომ ამას მოსდევს ომის საშიშროება. მან ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა სასწრაფოდ გადაწყდეს ის პრობლემები, რომლებიც ემუქრება ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. მათს რიცხვს მან მიაკუთვნა კორეის ომი და მდგომარეობა ირანში და სუეცის არხზე. მან ილაპარაკა იმაზე, რომ არ შეიძლება მაროკოს საკითხის უგულებელყოფა. არაფერი თქვა რა იმაზე, რომ ეს „საშიში პრობლემები" წარმოიშვა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის აგრესიული პოლიტიკის შედეგად, ინდონეზიის დელეგატმა მოუწოდა დიდ სახელმწიფოებს მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ. მან თქვა, რომ დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების პირადი კონტაქტი ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ვითარებაში არსებული დაძაბულობის თავიდან აცილებას და გამოიწვევდა საყოველთაო განიარაღების წინადადებათა შემუშავებას.

ეთიოპიის დელეგატის სიტყვის შემდეგ სესიის დღის პლენარული სხდომა დაიხურა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 ნოემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს ეწევიან ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგის ცალკეულმა ნაწილებმა ხომალდების არტილერიის დახმარებით სცადა გაერღვია სახალხო არმიის თავდაცვის ხაზი. მაგრამ, წააწყდა რა სახალხო არმიის ნაწილების მძლავრ წინააღმდეგობას, მტერმა უწესრიგოდ დაიხია უკან. ამ ბრძოლაში სახალხო არმიის ნაწილებმა გაანადგურეს მტრის ერთი ბატალიონი და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და საომარი მასალა.

ფხენიანი, 18 ნოემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვით ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ამასთან დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

17 ნოემბერს აღმოსავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგის ნაწილებმა ორჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ უკუქცეულ იქნენ და დიდი ზარალიც ნახეს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი, რომელიც კვლავ ბარბაროსულად ბომბავდა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენდა მშვიდობიან მოსახლეობას ნამფხოს, ხვანჯუს, სუქჩხონის და ანჯუნის რაიონებში.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების გარშემო

პეკინი, 17 ნოემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 16 ნოემბერს კესონიდან გადმოსცა ცნობა:

„კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დროს შექმნილი ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე ჩვენმა დელეგატებმა გადაჭრით დაგმეს სოფიზმი მეორე მხარისა, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი 11 ნოემბრის წინადადება გულისხმობს, როდის და რა გზით უნდა იქნას განსაზღვრული სამხედრო სადემარკაციო ხაზი და დემილიტარიზებული ზონა.

ჩვენმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ შეუწყნარებელია ორი სხვადასხვა თარიღის აღრევა—თარიღისა, როცა განსაზღვრულ უნდა იქნას სამხედრო სადემარკაციო ხაზი და დემილიტარიზებული ზონა, და თარიღისა, როცა უნდა განხორციელდეს მათი ფაქტიური დაწესება. თუმცა საომარი მოქმედების შეწყვეტა და დემილიტარიზებული ზონიდან ორივე მხარის ჯარების გაყვანა დაიწყებოდა დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მაგრამ პროცედურისა და დღის წესრიგის შინაარსის შესაბამისად სამხედრო სადემარკაციო ხაზი და დემილიტარიზებული ზონა კონკრეტულად უნდა განისაზღვროს მოლაპარაკების დროს, ხოლო დაზავების შესახებ მთელი შეთანხმების მიღწევის შემდეგ სამხედრო სადემარკაციო ხაზი და დემილიტარიზებული ზონა უნდა შეიცვალოს პირისპირ დგომის ფაქტიური ხაზის შეცვლის შესაბამისად. მეორე მხარის წინადადება კი იმის ცდაა, რომ სამხედრო სადემარკაციო ხაზისა და დემილიტარიზებული ზონის განსაზღვრა გადაიდოს დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამდე. ეს იმას მოწმობს, რომ მეორე მხარე წინასწარი განზრახვით ცდილობს ჩაფუშოს დღის წესრიგი და გააჭიანუროს მოლაპარაკება დაზავების შესახებ.

ჩვენმა დელეგატებმა მიუთითეს, რომ ორივე მხარის მიერ შეთანხმებული დღის წესრიგის დაცვა დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში გულწრფელობის მინიმალური გამოვლინებაა. მაგრამ მეორე მხარის დელეგატებმა ქვეკომიტეტის 16 ნოემბრის სხდომაზე კვლავ განაცხადეს, რომ ვერ დათანხმდებიან სამხედრო სადემარკაციო ხაზისა და დემილიტარიზებული ზონის დაუყოვნებლივ განსაზღვრაზე, რამდენადაც ჩვენი მხარე არ იღებს მათს ეგრეთწოდებულ წინადადებას მოწესრიგების შესახებ, რომელიც გულისხმობს კესონის ჩვენი რაიონის ხელში ჩაგდებას. ჩვენმა დელეგატებმა კატეგორიულად მიუთითეს, რომ მეორე მხარის თვითნებური და არასწორი პოზიცია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ფრაზით: „ჩვენ სამხედრო სადემარკაციო ხაზის განსაზღვრის წინააღმდეგი ვიქნებით, თუ არ გადმოგვცემთ კესონს", შეიძლებელია აიხსნას სხვანაირად, თუ არა წინასწარ განზრახული ცდით—გააჭიანურონ მოლაპარაკება დაზავების შესახებ და საბოლოო ანგარიშით მის ჩაფუშვასაც კი არ მოერიდონ. თუ მეორე მხარემ არ აიღო ხელი ამ ქედმაღლურ და უგუნურ პოზიციაზე, დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში შეუძლებელია რაიმე პროგრესის მიღწევა".

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის განცხადება

კაირო, 18 ნოემბერი. (საქდესი) გაზეთების „ალ-მისრისა" და „ალ-აჰრამის" ცნობით, გუშინ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ნახას-ფაშამ მიიღო ეროვნული ქარტიის კომიტეტის წევრები და განუცხადა მათ, რომ ამჟამად აუცილებლად საჭიროა ერთიანობა. მან თქვა: „ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიაროთ იმ გზით, რომელიც დავისახეთ, რათა დავიცვათ ჩვენი უფლებანი. ჩვენ უკან არ დავიხევთ და არ შევდრკებით. ვერავითარი მუქარა ვერ გადაგვახვევინებს ჩვენი გზიდან და არავითარ კომპრომისზე არ დავთანხმდებით".

შეეხო რა მთავრობის გადაწყვეტილებას — დააწესოს კონტროლი განთავისუფლების კორპუსის მოხალისეთა რაზმებისადმი, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: ის ადამიანები, რომლებიც ამჟამად ამ რაზმებს აწყობენ, „მოქმედებენ საუკეთესო ეროვნული მისწრაფების შესაბამისად, მაგრამ საზოგადოებრივი უშიშროება მოითხოვს, რომ ეს რაზმები მთავრობის კონტროლს ექვემდებარებოდნენ".

დასასრულ ნახას-ფაშამ თქვა: „თქვენ, შესაძლოა, იცით, რომ მთავრობამ უკვე გააფრთხილა ინგლისელი ხელისუფალნი, რომ თუ საოკუპაციო ჯარებმა არ შეწყვიტეს მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმა, ეგვიპტის პოლიცია ძალადობას ძალადობით უპასუხებს. მთავრობას არ ეშინია იკისროს პასუხისმგებლობა".

რეაქციის თარეში თურქეთში

სტამბოლი, 18 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ანკარის სააგენტო იუწყება, ანკარის უნივერსიტეტის საბჭომ მშვიდობის მომხრეთა თურქეთის საზოგადოების თავმჯდომარეს ბეჰიჯე ბორანს წაართვა უნივერსიტეტის მასწავლებლის წოდება, აგრეთვე მასწავლებლის უფლებანი.

სტამბოლი, 18 ნოემბერი. (საქდესი). თურქეთის პრესის ცნობით, მეჯლისი შეუდგა კომუნისტებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღების კანონპროექტის განხილვას.

იაპონიის მილიტარიზაცია

შანხაი, 15 ნოემბერი. (საქდესი). იაპონურ გაზეთ „იომიურის" ცნობით, ეგრეთწოდებული პოლიციის სარეზერვო კორპუსის შტაბის უფროსმა მასუხარამ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ იაპონიის სეპარატული „საზავო ხელშეკრულების" რატიფიკაციის შემდეგ პოლიციის სარეზერვო კორპუსის პირადი შემადგენლობა 75.000-დან გადიდდება 150.000 კაცამდე, ამასთან კორპუსის პირადი შემადგენლობის რაოდენობას იაპონია თავისი შეხედულებით გაადიდებს. ამჟამად კორპუსის პირადი შემადგენლობა იწვრთნება ამერიკელ მრჩეველთა მეთაურობით, მაგრამ „საზავო ხელშეკრულების" რატიფიკაციის შემდეგ ამ საქმეს იაპონელები შეასრულებენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკელი ოფიცრები მრჩევლებად დარჩებიან.

კიოდო ცუსინის სააგენტოს ცნობით, იაპონიის საზღვაო დაცვის სამმართველოს ფლოტი 1948 წლიდან ერთიორად გადიდდა. ფლოტის ძირითადი ძალები ხოკაიდოს და კიუსიუს წყლებში იმყოფებიან.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შორეული აღმოსავლეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბმა გამოაცხადა, კამისეაში, იოკოჰამის დასავლეთით, დაიწყო მუშაობა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის უდიდესი რადიოსადგურის ასაგებად. რადიოსადგურის მშენებლობის ღირებულება განსაზღვრულია 2,5 მილიონი დოლარით.

ჯუსტიციის მინისტრი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ავქსენტი ნარიკაშ-ძე რაფავა, რომელმაც ვერ უზრუნველყო საქართველოს სსრ სასამართლოს ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობა და საბჭოთა კანონმდებლობის სწორად განხორციელება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მოხსნილია საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პოსტიდან. (საქდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სავაჭრო დელეგაცია

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი შაო ციანლი, სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1952 წელს საქონელბრუნვის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ა. ერიომინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი მ. ი. სლადკოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის 1-ლი განყოფილების გამგის მოადგილე ი. ფ. კურდიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს ჩინეთის განყოფილების უფროსი დ. ი. შჩერბინა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე ე. დ. დენისენკო და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სოკქმო განყოფილების უფროსი გ. ი. ნიკოლაევი, აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული ჩინეთის საელჩოს წევრები საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ ჯან ვენ-ტიანის მეთაურობით.

სსრ კავშირის XIX პირველობა ჭადრაკში

მეოთხე ტური

18 ნოემბერს მოეწყო სსრ კავშირის ჭადრაკო პირველობის მეოთხე ტური. პირველივე სვლებიდან ყველა დაფაზე მწვავე და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. მრავალი დამსწრის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გელერ-კერესის პარტიამ. სსრ კავშირის ჩემპიონმა კერესმა, რომელიც შავებით თამაშობდა, გამოიყენა განვითარების ჩიგორინის სისტემა და 32-ე სვლაზე მიაღწია გამარჯვებას.

ბოტვინიკ-ლიპნიცკის პარტია გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონს უკეთესი მდგომარეობა აქვს.

კოტოვმა საინტერესო მანევრების შემდეგ პაიკი მოუგო სიმაგინს. პარტია გაიდადებულია.

ყაიმით დამთავრდა ფლორ-ბრონშტეინის შეხვედრა.

ავერბახმა კარგად გაითამაშა პარტია სმისლოვის წინააღმდეგ და გამარჯვება მოიპოვა.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოსკოვის ჩემპიონმა პეტროსიანმა პაიკი მოუგო ბონდარევსკის. პარტია გადადებულია.

არონინ-ტერპუგოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მოისეევმა მოუგო ნოვოტელნოვს.

ტაიმანოვ-კოპილოვის პარტია გადაიდო. ტაიმანოვს ზედმეტი პაიკი აქვს. (საქდესი).

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — 19/XI „პრავდის" მოწინავე—მეტი ყურადღება პრესის გავრცელებას. საერთო სათაურით „სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად" წერილები: მეფოლადეების შეჯიბრება. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის. სამგორის მშენებლობა ზამთარში.

სტუდენტთა საერთაშორისო დღე. უზბეკური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — აგიტკოლექტივი საარჩევნო პუნქტთან. პ. გილაშვილი — ფორმალიზმის წინააღმდეგ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაღაზიების სანიმუშო მუშაობისათვის („ზარია ვოსტოკას" ბრიგადის რეიდი). ჩვენი ფოსტიდან. გამოუყენებელი შესაძლებლობანი. სსრ კავშირის XIX პირველობა ჭადრაკში.

მესამე გვერდი — საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ტრიესტის საკითხზე.

ამხანაგ ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე 1951 წლის 16 ნოემბერს (დასასრული).

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

21 ნოემბერს

6.45 — დუნაევსკის სიმღერები. 9 20—ბელორუსული და მოლდავური სიმღერები. 18.10 — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის ლ. არაქელოვის კონცერტი. 18.30—გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.00 — ქართული ხალხური სიმღერები. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით—ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის გ. მაჭუტაძის კონცერტი. 20.45 — კონცერტი მ. ბალანჩივაძის ნაწარმოებებიდან. 21.10—ლექცია „საბჭოთა კავშირი—მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. 21.30 — კონცერტი. 21.55 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 22.40 — ნაწყვეტი ლ. ტოლსტოის რომანიდან: „ომი და მშვიდობა". 23.00 — კონცერტი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის „ოქტომბერი", „ამირანი", „სპარტაკი", „იხანი" — „დიდი კონცერტი"; „თბილისი", „კომკავშირელი", **26 კომისრის სახელობის**—„ოცნება გზაში"; „კოლმეურნე"—„ჯამბაზები".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კლინიკური განყოფილების გამგის ვაკანტურ თანამდებობაზე (ძირითადი სამსახური).

კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის ხარისხი, კონკურსში უპირატესობა მიეცემათ იმ პირებს, რომელთაც მეტი ექნებათ კლინიკური სტაჟი და მეცნიერულ ნაშრომთა რაოდენობა.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე განცხადება და შემდეგი საბუთები (3 ცალად): ავტობიოგრაფია, პოლიტიკური და საქმიანი დახასიათება, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, მეცნიერულ ნაშრომთა სია, თვით ნაშრომები და დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების საბუთების ასლები.

კონკურსის ვადაა 10 დღე დღიდან გამოცხადებისა. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 60, ტელეფონი № 3-90-65.

ნადია და დავით, ნელი, ნადია, ვლადიმერ, გოგი და ანზორ თოთიბაძეები იუწყებიან მამისა და ბიძის **კვირიხა ესებ-ძე თოთიბაძის** გარდაცვალებას.

მე-13 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **ოლღა სოლომონის ასულ მეტრეველის** გარდაცვალებას.

შვილები ეკატერინე, რაფიელ, ანა ტუსიშვილები, და ანასტასია ერისთავი-კახიძისა, შვილიშვილები ლილი, ლელა, სიძეები ს. საყვარელიძე, ს. ტუსიშვილი იუწყებიან **ელენე რაფიელის ასულ ერისთავი-ტუსიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-XI, 8 ს. გამოსვენება 22-XI, 5 ს. პლეხანოვის, 93.

მეუღლე გრიგოლ ნეფარიძე, შვილები თამაზ, ნუგზარ იუწყებიან **შუშანა გიორგის ასულ ნეფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-XI, 7 ს. გამოსვენება 22-XI, 4 ს. თხინვალის შესახვევი, 11.

ბიძაშვილი ნიკოლოზ და თამარ ძლენტები შვილებით ალისა და ალექსანდრეთი, სიძე ისიდორე დოლიძე, რძალი თინა და კონსტანტინე გუნცაძე მეუღლით იუწყებიან **ამბროსი იასონის-ძე ძლენტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XI, 5 ს. ს. კვალითში (ზესტაფონის რ.).

ძმა კოლია, რძლები ეპრაქსი, ვერა, ძმისწულები ასმათ, თინა, ლეო, მაყვალა, დალილა დოლიძეები, სიძეები გ. მამულაშვილი, მ. გაგუნაშვილი იუწყებიან **მელანია ათანასეს ასულ დოლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-XI, 8 ს. გამოსვენება 22-XI, 5 ს. კალინინის, 84.

შვილები ნიკო, გენადი, რძალი მარიამ, შვილიშვილები რუსუდან, ცეცილია იუწყებიან **მატრონა სიმონის ასულ მეტრეველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XI უჯერაში (ონის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებები: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-78-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05276